სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/123

ქ. თბილისი 14 09 2020 წ.

„დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ“ სტუ-ის 2020 წლის 18 აგვისტოს №01-09-10/102 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანების, „„2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №820260 ბრძანებისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის №01-05-04/137 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნაწილობრივ შეიცვალოს „დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ“ სტუ-ის 2020 წლის 18 აგვისტოს №01-09-10/102 ბრძანების მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   „5. გასაუბრება დროებით საფაკულტეტო კომისიებში ჩატარდეს დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, 2020 წლის 15 სექტემბერს; გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს 16 სექტემბერს 10^{00} საათზე;“
2. ნაწილობრივ შეიცვალოს „დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ“ სტუ-ის 2020 წლის 18 აგვისტოს №01-09-10/102 ბრძანება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 და 5^2 პუნქტები:

   „5^1. დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს, უზრუნველყონ დოქტორანტურაში სწავლის მსურველებისათვის გასაუბრების დისტანციურად ჩატარების გრაფიკის შედგენა და მათთვის ელ.ფოსტის და/ან ტელეფონის საშუალებით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება

(მიღების დადასტურებით) ვირტუალური აუდიტორიის ელექტრონულ მისამართთან ერთად;“

„5². იმ პირებისათვის, რომლებსაც არ აქვთ წვდომა Zoom-ის პლატფორმასთან ან ვერ მიიღებენ წინა პუნქტში მითითებულ ინფორმაციას, ფაკულტეტის დეკანატების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი აუდიტორიისა და კომპიუტერის გამოყოფა გასაუბრების დისტანციურად გავლისათვის;“

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში ზურაბ გასიტაშვილს.
4. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი

დავით გურგენიძე